№2329 2015 წლის 29 ოქტომბერი ქ. თბილისი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ სარეზერვო მიწისქვეშა ელექტროგადამცემი საკაბელო ხაზის მშენებლობის შესახებ

1. სვანეთის რეგიონში მშენებარე საკურორტო ინფრასტრუქტურის უწყვეტი და სტაბილური ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ უზრუნველყოს სარეზერვო მიწისქვეშა ელექტროგადამცემი საკაბელო ხაზის მშენებლობა.

2. მაღალმთიანი რეგიონის რთული რელიეფის, მოახლოებული ზამთრის სეზონისა და, აქედან გამომდინარე, გაუარესებული კლიმატური პირობების გათვალისწინებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, სარეზერვო მიწისქვეშა ელექტროგადამცემი საკაბელო ხაზის გაყვანის პროექტის შემჭიდროებულ ვადებში განხორციელების მიზნით, პროექტისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**